



MES 8 21 0000838849



31/08/2021

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

**სხდომის ჩატარების თარიღი** - 2021 წლის 20 აგვისტო;

**სხდომის დაწყების დრო** - 16:00 სთ;

**სხდომის დამთავრების დრო** - 16:25 სთ;

**საბჭოს თავმჯდომარე** - ირაკლი ბურდული;

**საბჭოს მდივანი** - ანა საბახტარიშვილი.

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

**ანა საბახტარიშვილი** - ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი“ პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;

**არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

**კახაბერ ფარცვანია** - შპს „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის“ მასწავლებელი.

#### სხდომაზე დამსწრე პირები:

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**

**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**სოფიო ქურასხედიანი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის

საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

### **საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

### **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:**

კი.

ცენტრის თანამშრომელმა ქეთევან ინანაშვილმა სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს ცენტრის შუამდგომლობის დაყენება დღის წესრიგთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ როგორც მოეხსენებათ, 2021 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე, განხილული იყო შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხი. ამ საკითხის განხილვის შემდგომ, გაფორმდა სხდომის №800144, 17/08/2021 ოქმი და №800317, 17/08/2021 გადაწყვეტილება რომელშიც არის ტექნიკური შეცდომები და მიზანშეწონილია, რომ საბჭომ იმსჯელოს ამ ხარვეზების გასწორების თაობაზე. შესაბამისად, სთავაზობს დღის წესრიგის განხილვას დაემატოს აღნიშნული საკითხიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა, რომ დაკმაყოფილებული ყოფილიყო ცენტრის შუამდგომლობა და დღის წესრიგში შესულიყო ცვლილება წარმოდგენილი სახით;

### **კენჭისყრა:**

მომხრე 5;

წინააღმდეგი 0.

**სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა;
2. „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ“ სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №800317 გადაწყვეტილებაში და 17 აგვისტოს თანდართული სხდომის №800144 ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

**განხილვა:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი Digital Governance and Artificial Intelligence
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი, 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
4.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს
7.	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	—

**საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცხეობა**

საბჭოს წევრმა თამარ თორიამ განაცხადა თვითაცილება, რის შესახებ სააპელაციო საბჭოს წინასწარ მიაწოდა წერილობითი ინფორმაცია მისი ორგანიზაციის (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია) მიმდინარე თანამშრომლობის შესახებ, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან. ამიტომ, სხდომას არ დასწრებია.

### **ზეპირი მოსმენა**

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა სააპელაციო საბჭოს წევრებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, იცნობდნენ თუ არა საქმის მასალებს, რაზედაც საბჭოს წევრებმა თანხმობა დააფიქსირეს.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად, ან განაცხადოს უარი საჩივრის განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია აკრედიტაციის დებულების 28<sup>3</sup> მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით (№780548, 09/08/2021) ჩანს, თუ ვის მიმართავს დაწესებულება (იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება) და ამავდროულად მითითებულია, თუ რომელი გადაწყვეტილება არის გასაჩივრებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - №726549, 20/07/2021). საჩივარში ასახულია აკრედიტაციის დებულების 28<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები. გარდა ამისა, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არის დეტალურად აღწერილი და დასაბუთებული, წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომლებს, წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და საჩივრის მოთხოვნების აკრედიტაციის დებულებასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

ცენტრის თანამშრომელმა ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოდგინა (№1201229, 15/12/2020) სააკრედიტაციო განაცხადი "ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, წარმოდგენილი იყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის №726549 გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე. რაც შეეხება სააპელაციო საჩივრით წარმოდგენილ ინფორმაციას, დაწესებულების მიერ ცენტრში დამატებით იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, აკრედიტაციის საბჭოს №726549, 20/07/2021 გადაწყვეტილება დაწესებულების მხრიდან სასამართლოში არ არის გასაჩივრებული. ასევე აღსანიშნავია, რომ ცენტრის მიერ დაწესებულებისათვის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ინფორმირებიდან არ იყო გასული ერთთვიანი ვადა (დაწესებულების ინფორმირება მოხდა 2021 წლის 20 ივლისის №728022 წერილით).

დამატებითი მოსაზრებები საბჭოს წევრების მხრიდან არ გამოთქმულა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სააპელაციო საბჭოს წევრებს, კენჭი ეყარათ საჩივრის მიღების საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5;

წინააღმდეგი - 0.

## გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>3</sup> მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, მიღებული იქნეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

2. „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ“ სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №800317 გადაწყვეტილებაში და 17 აგვისტოს თანდართული სხდომის №800144 ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

## საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცხეობა

. არა

ცენტრის თანამშრომელმა ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა რომ სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №800317 გადაწყვეტილებაში და 17 აგვისტოს თანდართულ სხდომის №800144 ოქმში გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით. კერძოდ, საბჭოს სხდომა ჩატარდა 2021 წლის 3 აგვისტოს, რომელიც უნდა იყოს გაწერილი ოქმში; ვინაიდან, განსახილველი საკითხი ეხებოდა პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვას, და არა პროგრამის აკრედიტაციას, სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 ივლისის №800317 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. გადაწყვეტილების დასახელება უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგი სახით: „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ“.

2. გადაწყვეტილების პირველი მუხლი უნდა იყოს ჩამოყალიბებული შემდეგი სახით: „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხი“.

ასეთივე სახის ცვლილება უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილებაზე თანდართულ 2021 წლის 17 აგვისტოს სხდომის №800144 ოქმში; კერძოდ, პირველ გვერდზე საბჭოს ჩატარების თარიღად უნდა ეწეროს 2021 წლის 3 აგვისტო. ოქმის მე-15 და მე-16 გვერდებზე გაწერილი გადაწყვეტილება უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგი სახით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2

პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხი.“

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც, საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის და 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კენჭისყრაზე დააყენა „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ“ სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №800317 გადაწყვეტილებაში და 17 აგვისტოს თანდართული სხდომის №800144 ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით ცვლილებების შეტანის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 5;

წინააღმდეგი - 0.

**გადაწყვეტილება:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის და 63-ე მუხლის პირველი ნაწილის, „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ“ სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №800317 გადაწყვეტილებაში და 17 აგვისტოს თანდართულ სხდომის №800144 ოქმში ტექნიკური ხარვეზების გასწორების მიზნით შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №800317 გადაწყვეტილების დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ“;

2. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №800317 გადაწყვეტილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხი;“

3. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს თანდართული სხდომის №800144 ოქმის მიხედვით, სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 3 აგვისტო;


4. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს თანდართული სხდომის №800144 ოქმის პირველ ნაწილში მოცემული გადაწყვეტილება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

„სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხი.“

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 20 აგვისტოს 16:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
საბახტარიშვილი ანა

